

“ხალხური პროზის მრავალტომეულის” 5 ტომის

მომზადება (4 – ჯადოსნური ზღაპრები, 1 – ნოველისტური)

(2009)

პრობლემის აღწერა

ქართული ხალხური პროზაული ტექსტების უდიდესი ნაწილი, რომლებიც ჩვენი ინსტიტუტის და სხვა ფოლკლორულ არქივშია დაცული, დღემდე გამოუქვეყნებელია. ამდენად, არა ერთი უნიკალური ნიმუში ჩვენი ხალხური სიტყვიერებისა არც სპეციალისტებისათვის არის ხელმისაწვდომი და მით უმეტეს – არც საზოგადოებისათვის. უკვე გამოქვეყნებული მასალაც, რომელიც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული იბეჭდებოდა, მრავალ ათეულ კრებულსა თუ პერიოდულ გამოცემაშია გაფანტული. პროექტის პირველ ეტაპზე, 2007-2008 წელს, თავი მოვუყარეთ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს და მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია. გამოსაცემად მოვამზადეთ პირველი 3 ტომი, რომლებშიც შევიდა ცალკეულ ნაწარმოებთა ძირითადი ტექსტები, მათი ვარიანტები, სათანადო საპასპორტო მონაცემებითა და შენიშვნებით. ესენია: სამი ძმის, სამი დის მოტივებთან დაკავშირებული ჯადოსნური ზღაპრები, მითები და თქმულებები.

2009 წელს მოვამზადებთ მრავალტომეულის კიდევ 5 წიგნს: ოთხი კრებული დაეთმობა ჯადოსნურ ზღაპრებს, ერთი – ნოველისტურს.

პროგრამის მიზანი

აღნიშნული ტომები ხალხური პროზის ნაწარმოებების აკადემიური გამოცემისათვის არის განკუთვნილი, ამდენად მათში თავმოყრილია ამა თუ იმ ჟანრსა თუ თემასთან დაკავშირებით არსებული ყველა ტექსტი – დაბეჭდილი თუ სხვადასხვა არქივში დაცული, რომლებიც გამოყენებული იქნება ძირითად ტექსტებად და ვარიანტებად, საპასპორტო მონაცემების სრული ჩვენებით.

პროგრამის განხორციელების გზები

ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის თბილისში არსებული ყველა ძირითადი ფოლკლორული არქივიდან შეგროვილ ხალხური პროზის ნიმუშებს დავაჯგუფებთ ჯერ ჟანრების, შემდეგ თემატიკის მიხედვით; გამოვყოფთ ცალკეულ ნაწარმოებთა ძირითად ტექსტებს, დავახარისხებთ მათ ვარიანტებს, დავურთავთ სათანადო პასპორტებს, შენიშვნებსა და საძიებლებს.

მოსალოდნელი შედეგები

პროგრამაზე სამწლიანი მუშაობის შედეგად მივიღებთ „ხალხური პროზის მრავალტომეულის“ 15 ტომს, რომლებშიც შევა: ზღაპრები (ცხოველთა, ჯადოსნური, ნოველისტური), თქმულებები, გადმოცემები, ლეგენდები, შელოცვები, მახვილსიტყვაობა.

შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

სამ თვეში ერთხელ მოხდება მოძიებული მასალების განხილვა, სისტემატიზაცია და ჩატარებული სამუშაოს შეჯამება განყოფილების სხდომებზე.

პროგრამის კოორდინატორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან ჩოლოყაშვილი. პროგრამა ხორციელდება მეცნიერთა ჯგუფის მიერ: ნ. რატიანი, ნ. ბალანჩივაძე, ე. ჩხეიძე და ი. ყველაშვილი.

ფოლკლორის არქივში დაცულ ხელნაწერთა აღწერილობა
(2007-2010)

პრობლემის აღწერა

ფოლკლორის არქივმა 2007 წელს დაიწყო პროექტის – „ფოლკლორის არქივში დაცულ ხელნაწერთა აღწერილობა“ - განხორციელება, რომელიც ითვალისწინებდა არქივში დაცული ხელნაწერი მასალების აღწერას და მათ შესახებ არსებული მონაცემების კატალოგიზაციას. პროექტის აქტუალობას განსაზღვრავდა შემდეგი ორი გარემოება:

1. ერთის მხრივ, არსებობდა ურთიერგამომრიცხავი წარმოდგენები არქივში დაცული ხელნაწერების რაოდენობასთან დაკავშირებით;
2. ხოლო მეორეს მხრივ, სამეცნიერო საზოგადოებისთვის უცნობი იყო ინფორმაცია ზოგიერთი ხელნაწერის არსებობის შესახებ.

პროგრამის მიზანი და ამოცანები

პროექტის შესაბამისად 2007-2008 წლებში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

1. მოხდა დოკუმენტების დიდ მასივებად დაყოფა. მაგ., ადრინდელი ფონდი, ახალი, ფონდი და ვარლამ მაცაბერიძის სახელობის ფონდი;
2. შემუშავდა და დაზუსტდა სისტემატიზაციის სქემა;
3. მოხდა ხელნაწერთა მოცემული სქემის მიხედვით აღწერა;
4. აღწერილი მასალა შევიდა კომპიუტერში;
5. მოხდა შეტანილი მასალის რედაქტირება;
6. მომზადდა და გამოიცა ბეჭდური კატალოგი.
- 7.

განხორციელების გზები

პროექტის განხორციელებამ შესაძლებელი გახადა:

1. არქივში დაცულ ხელნაწერთა შესახებ ინფორმაციის სრულყოფა;
2. სამეცნიერო-საგამომცემლო მიზნებისათვის ხელნაწერთა გამოყენების პირობების გაუმჯობესება;
3. მონაცემთა ელექტრონული ბაზების შემდგომი განვითარება.

მოსალოდნელი შედეგები

2009 წელს ფოლკლორის არქივი აგრძელებს პროექტზე მუშაობას. ზემოთ აღწერილი სისტემატიზაციის შესაბამისად დამუშავდება პეტრე უმიკაშვილის არქივი და სრულყოფილი სახით დაიბეჭდება კატალოგი.

პროგრამის კოორდინატორი: მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ელგუჯა დადუნაშვილი.

პროგრამის მონაწილე: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი მარინე ტურაშვილი.

გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება და მოღვაწეობა

(2008-2009)

პრობლემის აღწერა

2009 წელს სრულდება გიორგი მთაწმიდლის 1000 წლისთავი. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს, ქართული ლიტერატურის განყოფილებას 2009 წელს განზრახული აქვს დაასრულოს გამოკვლევა – „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

გიორგი მთაწმიდელი უდიდესი ქართველი მოღვაწეა, განუზომელია მისი ღვაწლი ქართული მწერლობის, კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული მოღვაწის შესახებ მრავალი გამოკვლევაა დაწერილი, მის 1000 წლისთავთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია, რომ უფრო სრულყოფილად წარმოვაჩინოთ გიორგი მთაწმიდელის მიერ ქართველი ერის წინაშე გაწეული ღვაწლი, ვფიქრობთ, საჭიროა, რომ ქართველი საზოგადოება უფრო სრულყოფილად გაეცნოს მის ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობას.

აღნიშნული პროექტი ორწლიანია. 2008 წელს გაშუქდა, თუ რა დონეზე არის შესწავლილი მეცნიერებაში გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება და მოღვაწეობა.

პროგრამის მიზანი და ამოცანები

2009 წელს გამოვლინდება ახალი მასალები, შეხედულებები, უფრო სრულყოფილი სახით წარმოჩნდება ამ უდიდესი მოღვაწის ღვაწლი, რომელიც მან სამწერლო, ეროვნულ ასპარეზზე გასწია; განზრახული გვაქვს მოვამზადოთ წიგნი, რომელიც გიორგი მთაწმიდლის პიროვნების უკეთ წარმოჩენას შეუწყობს ხელს; ამავედროულად წიგნი იქნება გზამკვლევი, რომელშიც შეძლებისდაგვარად სრულყოფილად წარმოდგება ყოველივე, რაც აქამდე გაკეთებულა გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად. წიგნი დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს, სტუდენტებს, ამ საკითხებით დაინტერესებულ პირთ.

პროგრამის განხორციელების გზები გულისხმობს შუა საუკუნეების ტექსტების შესწავლას, სამეცნიერო ლიტერატურის ახლებურ შეფასებას.

მოსალოდნელი შედეგები

მთლიანობაში იქნება გააზრებული და წარმოდგენილი გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება და მოღვაწეობა, რაც ხელს შეუწყობს დიდი ქართველი მოღვაწის პოპულარიზაციას.

შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

შედეგების შეფასება მოხდება სამეცნიერო კონფერენციებზე, სესიებზე, ქართული ლიტერატურის განყოფილების სხდომებზე მოხსენებების წაკითხვის შემდეგ, სამეცნიერო გამოცემებში სტატიების გამოქვეყნებისას

პროგრამის კოორდინატორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. სოსო მახარაშვილი.

პროგრამაში მონაწილეობენ ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტები: ს. მახარაშვილი, დ. მენაბდე, ი. ამირხანაშვილი, ა. ჯიქია, ი. ნაცვლიშვილი, გ. კუჭუხიძე, ზ. ტყეშელაშვილი.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემები

და "ვეფხისტყაოსანი"

(2009)

პრობლემის აღწერა

თანამედროვე მეცნიერული კვლევის მოთხოვნებმა მოიტანა ახალი ხედვის, ახალი მიმართულების გამოკვეთის საჭიროება. თანამედროვე რუსთველოლოგია უნდა შეესაბამებოდეს ლიტერატურული კვლევის უახლეს პრინციპებს. რუსთველოლოგიური პრობლემატიკა მოიცავს ისტორიულ-ფილოლოგიურ და მხატვრულ-ესთეტიკურ საკითხთა ფართო წრეს. მეტ-ნაკლები სისრულით დამუშავებულია მრავალი საკითხი დაწყებული პოემის ხელნაწერებიდან რუსთველის პოეტიკის ჩათვლით. თრადიციულია, აგრეთვე, კომპარატივისტული ძიებანი, რომელსაც XIX საუკუნეში ეყრება საფუძველი. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევები საჭიროებს რეცეპციული ესთეტიკისა და სხვა უახლესი მეთოდების ჯეროვან გამოყენებას, რის საფუძველზეც ახლებურად წარმოჩინდება ისეთი აქტუალური პრობლემატიკა, როგორცაა ნაწარმოების ჟანრი და ძირითადი კონცეფცია, პარადიგმული სიმბოლიკა, პერსონაჟთა ხატვის პრინციპები, დროისა და ავტორის ფენომენი და სხვა საკითხები.

პროგრამის მიზანია:

რუსთველოლოგიის მონაპოვართა საფუძველზე და კვლევის თანამედროვე მეთოდის გამოყენებით გაღრმავდეს ტრადიციული, საკვანძო საკითხთა შესწავლა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით პრობლემატიკასთან მიმართებით.

პროგრამის განხორციელების გზები:

პროგრამა განხორციელდება შემდეგი საკითხების დამუშავების საფუძველზე:

1. "ვეფხისტყაოსნის", როგორც ფილოსოფიური პოემის, მთავარი კონცეფცია;
2. პარადიგმული სახისმეტყველება "ვეფხისტყაოსანში";
3. პერსონაჟთა ხატვის პრინციპები რუსთველის შემოქმედებაში;
4. ავტორის ფენომენი "ვეფხისტყაოსანში";
5. დროის მითოლოგიზაციის პრობლემა.

მოსალოდნელი შედეგები:

ზემოდასახელებულ საკითხთა კვლევის შედეგად ნაშრომში შეჯამდება ძირითად მიზნებთან დაკავშირებული ტრადიციული მონაპოვარი და სიახლენი, გამოიკვეთება კვლევის ახალი სტრატეგიები. ნაშრომი თავისი პრობლემატიკით საფუძველად დაედება სამეცნიერო კრებულ "რუსთველოლოგიის" შემდგომ (VI) გამოცემას.

შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები:

I ეტაპი – 2009 წლის იანვარ-მარტი – მასალის მოპოვება, შესწავლა-დამუშავება, საანგარიშო მოხსენებები

II ეტაპი – 2009 წლის აპრილი-ივნისი – ინდივიდუალური მუშაობა კონკრეტულ პრობლემატიკაზე. საანგარიშო მოხსენებები.

III ეტაპი – 2009 წლის ოქტომბერ-ნოემბერი – წარმოდგენილ ნაშრომთა სამეცნიერო რედაქტირება

IV ეტაპი – 2009 წლის დეკემბერი – შესრულებული სამუშაოს შემოჯამებელი განხილვა. მზადება კრებულისთვის.

პროგრამის კოორდინატორი – შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. რევაზ სირაძე

პროგრამა ხორციელდება რუსთველოლოგიის კვლევითი ცენტრის თანამშრომელების: მარიამ კარბელაშვილის, ნანა გონჯილაშვილის, თამარ ხვედელიანის, ღია კარიჭაშვილის მიერ.

სულხან-საბა ორბელიანი

რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია

(2009)

პრობლემის აღწერა

სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია მოიცავს მასალას, რომელიც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დაგროვდა მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებიდან დღემდე.

ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილი იქნება ამ ხნის განმავლობაში შექმნილი კრიტიკული და სხვა სახის ლიტერატურა, აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა გამოცემები.

მოხდება ყველა იმ ნაშრომის ანოტირება, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების, აგრეთვე, XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეში.

გათვალისწინებული იქნება ალ. ხახანაშვილის, კ. კეკელიძის, ი. აბულაძის, შ. ნუცუბიძის, ალ. ბარამიძის, გ. ქიქოძის, გ. ლეონიძის, ს. ყუბანეიშვილის, ს. ცაიშვილის, ე. მეტრეველის, ი. გიგინეიშვილის, ი. ტაბაღუას, ი. ლოლაშვილის, ლ. მენაბდის და სხვათა შრომები.

ბიბლიოგრაფია შედგება თემატურ-ქრონოლოგიური პრინციპით: ა) ცხოვრება და შემოქმედება; ბ) შემოქმედების ცალკეული ასპექტები; გ) ლიტერატურული პორტრეტები; დ) სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მოღვაწეობა; ე) ლექსიკოლოგიური საკითხები; ვ) ეკონომიკური შეხედულებები; ზ) ანთროპოლოგიური საკითხები; თ) ფილოსოფიური საკითხები; ი) მოგზაურობა და გეოგრაფია; კ) სულხან-საბა ორბელიანი და საქართველოს ისტორია.

პროგრამის მიზანი

პროექტის მიზანია სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების წარმოდგენა ისტორიულ კონტექსტში; ჩვენება იმისა, თუ როგორ ვითარდება საკითხის კვლევა; რა არის დღემდე გაკეთებული და რა არის გასაკეთებელი მომავალში.

პროგრამის განხორციელების გზები

შესწავლილი იქნება ლიტერატურა სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ; გამოიყოფა მონოგრაფიები, შრომები და სტატიები, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს საკითხის კვლევის საქმეში და შედგება ანოტაციები. თითოეულ ანოტაციაში სრულად იქნება წარმოდგენილი შრომის მთავარი არსი, იდეა, სიახლე.

მოსალოდნელი შედეგები

პროექტის დასრულების შემდეგ მივიღებთ ბიბლიოგრაფიას, რომელშიც სრულად იქნება წარმოდგენილი სულხან-საბა ორბელიანთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომისა თუ ლიტერატურული სტატიის შინაარსი, რაც მკვლევარებსა და საკითხით დაინტერესებულ მკითხველს გაუადვილებს მუშაობას შესაბამის თემებზე.

ეს იქნება პირველი ანოტირებული ბიბლიოგრაფია სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები

პროექტის მონაწილეები ყოველი თვის მეორე პარასკევს შეიკრიბებიან და წარმოადგენენ ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ.

პროექტის მონაწილეებს კონსულტაციები ექნებათ აგრეთვე XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე მომუშავე სხვა სპეციალისტებთანაც.

ყოველ სამუშაო შეხვედრაზე განიხილება თითოეული მონაწილის მიერ შესრულებული სამუშაო.

პროგრამის კოორდინატორი

პროგრამის კოორდინატორია ქართული ლიტერატურის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ივანე ამირხანაშვილი.

ქართული კლასიკური ლიტერატურის ინტერპრეტაცია

(მეთოდები და სტრატეგიები)

(2009)

პრობლემის აღწერა

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, ინსტიტუტში ლიტერატურის თეორიის განყოფილება, არსებული სამეცნიერო რესურსების საშუალებით, ცდილობდა თანამედროვე დასავლური თეორიული ნააზრევების გაცნობას ქართველი სტუდენტებისა თუ სამეცნიერო წრეებისთვის. პროექტი “ლიტერატურის თეორია”, რომლის დამუშავებული, შევსებული და ტერმინოლოგიის საძიებელდართული გამოცემა გასულ, 2008 წელს გამოვიდა, სწორედ ამ მიზნის დადასტურებაა. წიგნში შევიდა მეოცე საუკუნიდან მოყოლებული, დღემდე ყველაზე გავლენიანი ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებების და მიმდინარეობების შესახებ დაწერილი მონოგრაფიები. ამჯერად კი გადავწყვიტეთ, რომ ამ გამოცემის ერთგვარი დამხმარე სახელმძღვანელოს სახით, მოვამზადოთ ტექსტები, რაც კლასიკური ქართული ლიტერატურის თითო ტექსტის ამა თუ იმ ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდით ანალიზს გულისხმობს. მაგალითისთვის, სულხან-საბა ორბელიანის “სიბრძნე სიცრუისა” წაკითხული იქნება ჰერმენევტიკული მეთოდით, მიხეილ ჯავახიშვილის “ჯაყოს ხიზნები” – პოსტსტრუქტურალისტური მეთოდით და ა.შ. წლის მანძილზე, თითოეული მკვლევარი მოამზადებს თითო ტექსტს, რომელიც შემდეგ კრებულის სახით გამოვა. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, თეორიები მოიცავს ეგზისტენციალისტურ ფილოსოფიას, ფსიქონალიზს, რუსულ ფორმალიზმს, სტრუქტურალიზმს, ამერიკულ ახალ კრიტიკას, დასავლურ მარქსიზმს, ფენომენოლოგიას, რეცეფციულ კრიტიკას, ჰერმენევტიკას და პოსტსტრუქტურალიზმს, ახალ ისტორიზმს. რაც შეეხება მხატვრულ ტექსტებს – აქ შეზღუდვა არ იქნება და მასში შესული იქნება როგორც უძველესი ქართული ტექსტების (მათ შორის ფოლკლორული ტექსტების) ანალიზი, ასევე წარმოდგენილი იქნება შედარებით ახალი პერიოდის ქართული კლასიკური ტექსტების ანალიზიც.

პროგრამის მიზანი

პროექტი ითვალისწინებს ჩვენს მიერ დამუშავებული ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლების გარჩევას, უფრო მეტი სიცხადისთვის და ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტთა შორის კვლევის უნარის გამომუშავების მიზნით, ამჯერად ქართული მხატვრული ტექსტების ანალიზით ნათელი მოვფინოთ ამა თუ იმ მეთოდოლოგიური სკოლის თავისებურებას. ახლა უკვე დასავლელ თეორეტიკოსთა ნააზრევით დაინტერესებული მკვლევარები და სტუდენტები დასავლური თეორიული ტექსტების სპეციფიკურ ნიშნებს ორიგინალური ქართული მხატვრული ლიტერატურის ანალიზის საშუალებით გაეცნოს. ხშირ შემთხვევაში, ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლების შესახებ ნაშრომი ითვალისწინებდა თანამედროვე თეორიული სკოლების ნააზრევების გაცნობას ქართველი მკითხველისთვის. ქართული ტექსტების ანალიზი კი ხელს

შეუწყობს ამ სკოლების ტერმინების და სტრატეგიების დამკვიდრებას ჩვენს სივრცეში. აღნიშნული ნაშრომების პოტენციურ მკითხველად გვეგულებიან მეცნიერები, ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტები, ხელოვანები ან, უბრალოდ, თეორიული საკითხებით დაინტერესებული პირები.

პროგრამის მიზნები და ამოცანები

პროგრამის მიზანია დასავლური ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლების კვლევის მეთოდთა უკეთ გაგების მიზნით, ამა თუ იმ მეთოდით კლასიკური ქართული მხატვრული ლიტერატურიდან თითო ტექსტის ანალიზი.

პროგრამის განხორციელების გზები

პროექტში “ქართული კლასიკური ლიტერატურის ინტერპრეტაცია (მეთოდები და სტრატეგიები)” იმუშავებს ლიტერატურათმცოდნეთა ჯგუფი ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილებიდან, რომლებსაც საანალიზო ტექსტების შესარჩევს საკითხში კონსულტაციას გაუწევენ სხვადასხვა განყოფილებების მკვლევარები.

მოსალოდნელი შედეგები

პროექტი “ქართული კლასიკური ლიტერატურის ინტერპრეტაცია (მეთოდები და სტრატეგიები)”, პირველ რიგში, სტუდენტებისთვის იქნება საგულისხმო. ეს ნაშრომები ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს არა მხოლოდ ამა თუ იმ დასავლური თეორიული მიმართულების თავისებურებებს გააცნობს, არამედ ამა თუ იმ ნაშრომში წარმოდგენილი კონცეპტუალური ტერმინების ქართულ სივრცეში ათვისება-დამკვიდრებას დაეხმარება. კულტურის და ლიტერატურის მკვლევარებს კი, კრებული კვლევების ჩატარებისას დიდ დახმარებას გაუწევს.

შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

პროექტში მონაწილეობას მიიღებს 20 ლიტერატურათმცოდნე. მათგან 4 მკვლევარი კონსულტანტის ფუნქციას შეასრულებს. მუშაობის შედეგების განხილვა, ერთი წლის განმავლობაში, ყოველ სამ თვეში ერთხელ გაიმართება.

პროგრამის კოორდინატორი

პროგრამის კოორდინატორია ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილების ხელმძღვანელი გაგა ლომიძე,

კრებული გალაკტიონოლოგია – V
(გალაკტიონი და სიმბოლიზმი (1915-1925 წ.წ.))
(2009-2010)

პრობლემის აღწერა

გალაკტიონოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მუშაობს სამეცნიერო კრებულის – გალაკტიონოლოგიის მრავალტომეულზე, რომლის პირველი სამი წიგნი მოიცავდა ზოგად კვლევებს გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ; აგრეთვე, საარქივო მასალებსა და მოვონებებს. IV წიგნიდან კონცეფცია შეიცვალა, პრობლემათა მრავალწახნაგოვნებას მონოგრაფიის პრინციპი ჩაენაცვლა, თითოეული მონოგრაფია თანმიმდევრობით მოიცავს პოეტის შემოქმედების სხვადასხვა მონაკვეთს. „გალაკტიონოლოგი–IV გალაკტიონ ტაბიძის ადრეული პერიოდის ლირიკის (1908-1914წწ.) კვლევას მიეძღვნა, რის შედეგადაც ნაჩვენებია, რომ გალაკტიონმა აღადგინა და ამ გზით თავადვე მოამზადა ის ტრადიცია, რომელმაც ბუნებრივი, ევოლუციური სახე მისცა ქართული პოეზიის განახლებას.

გალაკტიონოლოგია–V გალაკტიონის სიმბოლისტური პერიოდის შემოქმედების შესწავლას დაეთმობა.

პროგრამის მიზანია, ლიტერატურისმცოდნეობითი მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა შუქზე, გალაკტიონის სიმბოლისტური პერიოდის შემოქმედების პრობლემატიკის ახლებური გააზრებით, საფუძველი მოუზადოს მისი პოეტური მემკვიდრეობის შემდგომ კვლევას.

გალაკტიონის სიმბოლისტური შემოქმედების რეალური სტატუსის გამოსაკვეთად, უპირველესად საჭიროა დადგინდეს შესასწავლი ობიექტის პარამეტრები, მისი გენეზისის, ტიპოლოგიისა და პოეტიკის ძირითადი მახასიათებლები, რაც დღემდე საგანგებო კვლევის საგნად არ ქცეულა.

პროგრამის განხორციელების გზები

გალაკტიონის 1915-1925 წწ. პერიოდის შემოქმედებასთან დაკავშირებული საარქივო, ბეჭდური, ფოტო და ა.შ. მასალათა მოპოვებისა და მეცნიერული შესწავლის შედეგად დამუშავება შემდეგი თემებისა:

1. გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული შეხედულებანი;
2. სიყვარულის მეტაფიზიკა და მერის მოტივი;
3. ბავშვის / ბავშვობის კონცეპტი გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში;
4. გალაკტიონი და ვერლენი;
5. „უნაზესი ხელნაწერი“ – სტილის ანალიზი
6. გალაკტიონის თავისუფალი ლექსი
7. გალაკტიონის ცხოვრების ქრონიკა (1925-1945 წლები)

პროგრამის ფარგლებში ჩატარდება სამეცნიერო ღონისძიებები:

1. „გალაკტიონის დღე“ – უკვე დაბეჭდილი კრებულის – „გალაკტიონოლოგია–IV“-ის და „გალაკტიონოლოგია–V“-ის პროექტის წარდგინება
2. „გალაკტიონის დღე“ – გასვლითი სამეცნიერო სესია ქუთაისში (2009 წლის მაისი)

3. გალაკტიონოლოგიის კვლევის ცენტრის გასვლითი სხდომა ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხნალში, სადაც წაკითხული იქნება „გალაკტიონოლოგია-V“-ისათვის მომზადებული სტატიები. (2009 წლის ოქტომბერი)

4. გალაკტიონოლოგიის V სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2009 წლის 17 ნოემბერი.

მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის დასასრულისთვის, ძირითადად, მზად იქნება კოლექტიური ნაშრომი, რომელიც საფუძვლად დაედება 2010 წელს დაგეგმილ კრებულს – „გალაკტიონოლოგია-V“ (გალაკტიონი და სიმბოლიზმი).

ამასთანავე, მოპოვებული მასალების დამუშავებით, ნიადაგი მომზადდება გალაკტიონის ვებ-გვერდის სამეცნიერო ნაწილის შესაქმნელად, რასაც ითვალისწინებს გალაკტიონის კვლევის ცენტრის პერსპექტიული გეგმა.

შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები:

მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ მოპოვებული ლიტერატურული პრესის, ბეჭდური და საარქივო მასალების შესწავლის შედეგების შესახებ საანგარიშო მოხსენებების წაკითხვა კვლევითი ცენტრის გაფართოებულ სხდომებზე, ასევე დაგეგმილ სამეცნიერო ღონისძიებებზე.

პროგრამის კოორდინატორი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი როსტომ ჩხეიძე. პროექტი ხორციელდება მეცნიერთა ჯგუფის მიერ: თეიმურაზ დოიაშვილი, დავით წერეთლიანი, ლევან ბრეგვაძე, ემზარ კვიციანიშვილი, ნინო დარბაისელი, მამუკა შელევია, დავით აბულაძე.

აკაკი წერეთლის თხზულებათა
რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია
(2009-2010)

პრობლემის აღწერა

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 2008 წელს მომზადდა და რუსთაველის საზოგადოებაში საკონკურსოდ გაიგზავნა მეგა პროექტი “აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური კრებული” (ათი ტომი).

ვიმედოვნებთ, პროექტი დაფინანსდება და პროექტის საიუბილეოდ 2010 წელს მკითხველი მიიღებს აკაკის თხზულებათა ათ ტომს.

შემდეგ წლებში ინსტიტუტს განზრახული აქვს ამ გამოცემის გასრულება ოცი ტომით. ვფიქრობთ, ასეთი გამოცემის თანადროულად მკითხველს უთუოდ ესაჭიროება აკაკი წერეთლის შემოქმედების რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც უთუოდ დაეხმარება მეცნიერებს აკადემიური კრებულის მომზადებაშიც, მით უფრო, რომ წარმოდგენილ პროექტში მონაწილეებს მეცნიერთა ის ნაწილი, რომელიც მუშაობს აკაკის თხზულებათა აკადემიური კრებულის ტომეულებზე. ამავე დროს, პროექტის რჩეული ბიბლიოგრაფია კარგი გზამკვლევი იქნება სტუდენტებისა და ჩვეულებრივი მკითხველისათვის. მით უფრო მაშინ, როდესაც აკაკი წერეთლის შემოქმედების შესახებ ათეულობით წიგნი და ასობით წერილია დაწერილი, ცხადია, ასეთი მრავალფეროვანი მასალიდან ძნელია ღირებული ნაშრომის გამორჩევა.

პროგრამის მიზანი და ამოცანები

პროექტის მიზანია მოამზადოს აკაკი წერეთლის შემოქმედების რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც გზამკვლევი იქნება მკითხველისათვის და, რომლის მეშვეობითაც უამრავ დროსა და ენერგიას დაზოგავენ მკვლევრები, სტუდენტები და მოსწავლეები.

პროექტის კონსულტანტთან და აკაკის შემოქმედების ცნობილ მკვლევრებთან ერთად გადაიხედება ის მასალა, რომელიც უნდა შეირჩეს გამოსაცემად. იმისათვის, რომ ბიბლიოგრაფია უფრო სრულყოფილი და მოსახმარად მოხერხებული გახდეს, გამიზნული გვაქვს მისი დაყოფა რამდენიმე განყოფილებად.

განხორციელების გზები

დღეისათვის არსებული აკაკის ბიბლიოგრაფიის იმ ნაწილის მიხედვით, რომელიც მომზადდა ლიტერატურის ინსტიტუტში (სამწუხაროდ, ამჟამად მხოლოდ მისი ნაწილია შემორჩენილი, რომლის შემდგენელია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მანანა კვატაია), ი. გორგაძისა და ნ. გურგენიძის წიგნის “აკაკის ცხოვრების მატთანე”, აგრეთვე ყველა ანგარიშგასაწვეი წყაროს გამოყენებითა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს სამეცნიერო ნაშრომები, ტექსტები დასამუშავებლად გადაეცეს პროგრამაში ჩართულ მეცნიერებს, რომლებსაც დაევალებათ წინასწარ შეთანხმებული სტანდარტების კვალობაზე ანოტაციების მომზადება.

შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი

პროექტის მონაწილეთა დასრულებულ სამუშაოს შეაფასებს პროექტის კონსულტანტი. კვარტალში ერთხელ ინფორმაცია სამუშაოს მიმდინარეობის, წამოჭრილი პრობლემური საკითხების შესახებ განიხილება ლიტერატურის განყოფილების სხდომაზე.

მოსალოდნელი შედეგები

მომზადდება აკაკი წერეთლის შემოქმედების რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც შესაძლებელია, რომ პოეტის საიუბილეოდ დაიბეჭდოს. მომზადებული ბიბლიოგრაფია განთავსდება ინსტიტუტის ვებ-გვერდზე. სასურველია იგი განთავსდეს პროექტ “ირმის ნახტომის” ვებ-გვერდზეც. მეცნიერთა საზოგადოება, სტუდენტობა და ყველა დაინტერესებული მკითხველი მიიღებს აკაკის შემოქმედების კარგ გზამკვლევს.

პროგრამის კოორდინატორი – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ჯულიეტა გაბოძე; პროგრამის კონსულტანტია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი იუზა ვეგენიძე; პროგრამაში მონაწილეობენ: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მანანა კვატაია (დაფინანსების გარეშე), ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი საბა მეტრეველი (დაფინანსებია გარეშე), ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნათელა ჩიტაური (დაფინანსებით), ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნანა ფრუიძე.

„უცხო“ პარადიგმა ქართულ მწერლობაში

(2009)

პრობლემის აღწერა

„უცხო“ პარადიგმა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია თანამედროვე დასავლურ და, შესაბამისად, ქართულ ლიტერატურაში. თუმცა ეს არ არის მხოლოდ ლიტერატურული პარადიგმა, არამედ უფრო ფართო არეალისა და განფენის ველის მქონე მოვლენაა, რომელსაც ფესვები არქაულ შრეებში უდგას და კულტურული კონტექსტებისა და კულტუროლოგიური კვლევის გარეშე, „უცხო“ პარადიგმის სრულად წარმოჩენა შეუძლებელია. ქართულ მხატვრულ აზროვნებაში „უცხო“ მოდელი ცვლილებას განიცდის ისტორიულ, სოციო-კულტურული და ფილოსოფიურ-ესთეტიკური ტენდენციების ცვლილებების შესაბამისად. ქართული მწერლობის „უცხო“ (მთელი მისი განვითარების გზისა და ტრანსფორმაციის ყველა ეტაპის გათვალისწინებით) ბევრი აქვს საერთო „უცხო“ ზოგადკულტურულ პარადიგმასთან და ამასთან, ხშირად, სრულიად ორიგინალურია. სწორედ ამ თანაფარდობის აღმოჩენა, შედარება და გაანალიზება მოგვცემს საშუალებას სრულად წარმოვიდგინოთ „უცხო“ პარადიგმა.

პროგრამის მიზნები და ამოცანები

ქართულ ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ზოგად კულტურულ სივრცეში „უცხო“ მხატვრულ-ესთეტიკური სახის ფუნქციონირების შემთხვევების გამოვლენა; ამ მოდელის შედარება ზოგადკულტურულ პარადიგმასთან; სხვადასხვა ტექსტის და კულტურული რეალობის ანალიზით საერთო და განმსახვავებელი ნიშნების გამოვლენა და ამ საფუძველზე ქართულ მწერლობაში „უცხო“ პარადიგმის გავრცელების, მოქმედების და ესთეტიკური მნიშვნელობის სრული სურათის წარმოდგენა.

განხორციელების გზები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელია თეორიული მასალის შესწავლა (განსაკუთრებით, ეგზისტენციალისტების ფილოსოფიური ნააზრევის). ასევე, სხვადასხვა მხატვრული ტექსტის ანალიზი, როგორც ვეროპული, ისე ქართული ლიტერატურიდან.

მოსალოდნელი შედეგები

კვლევის შედეგად, სავარაუდოდ, წარმოიჩინდება „უცხო“ პარადიგმის სრული სახე, გამოიჩინდება ახალი ასპექტები, რომელთა გათვალისწინებით დადგინდება ქართულ მწერლობაში „უცხო“ პარადიგმის მნიშვნელობა, აქტუალობა და ფუნქციონირების სიხშირე. ასევე მისი თვითმყოფადობა, განსხვავებულობა და, იმავდროულად, ზოგადკულტურულ კონტექსტთან მყარი კავშირი. ამ პარადიგმის ანალიზისას ახლებურად წარმოსდგება ამა თუ იმ ტექსტში წამოჭრილი სხვა პრობლემები და სხვა სახეები.

შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები

2009 წლის განმავლობაში ქართული ლიტერატურის განყოფილების სხდომაზე ორჯერ განსახილველად იქნება გამოტანილი მოხსენებები აღნიშნულ თემაზე. ასევე, სავარაუდოდ 2009 წელსვე, გამოქვეყნდება ერთი ან ორი სტატია აღნიშნულ თემაზე, რომლებშიც შედეგებისდაგვარად სრულად იქნება ასახული ანალიზის პროცესი და მიღებული შედეგები.

პროგრამის კოორდინატორი

ქართული ლიტერატურის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ინგა მილორავა

თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნარატივი

(2009)

პრობლემის აღწერა

თანამედროვე ქართული ლიტერატურის სახე შექმნილია მწერალთა როგორც ძველი, ასევე ახალი თაობის წარმომადგენლთა მიერ. ეს არის ნაირფეროვანი ნარატივის შემცველი სალიტერატურო პროდუქცია. ამ პროექტით გათვალისწინებულ ნაშრომში წარმონხდება პოსტმოდერნისტული და რეალისტური ნარატივების რაგვარობა, სხვადასხვა თხრობითი მოდელები, ნაირფეროვან დისკურსთა ვარიაციების პრინციპები. ნარატოლოგიის კონტექსტში ახლებურად იქნება გააზრებული და გაანალიზებული თანამედროვე ლიტერატურული პროცესები, მხატვრული ტექსტის სტრატეგიები და თხრობის ფუნდამენტური პრინციპები.

ნაშრომში წარმონხდება კონკრეტულად შემდეგ ავტორთა ნარატიული თავისებურებანი:

1. ოთარ ჭილაძე;
2. თამაზ ბიბილური;
3. ოთარ ჩხეიძე;
4. გურამ დოხანაშვილი;
5. ჯემალ ქარჩხაძე;
6. გივი მარგველაშვილი;
7. გურამ ოდიშარია;
8. დავით ქართველიშვილი;
9. ნინო თარხნიშვილი;
10. თეა თოფურია;
11. ზაზა თვარაძე;
12. ირაკლი სამსონაძე.

გამოკვლევა დაეყრდნობა თანამედროვე ლიტმცოდნეობით მეთოდებს და თანამედროვე ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურული პროცესების კონტექსტში წარმონხდება.

პროგრამის მიზანი და ამოცანები

პროექტის მიზანია, კონკრეტული ქართული მხატვრული ტექსტების საფუძველზე შესწავლილ იქნას თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნარატივის თავისებურებანი და ამ თვალსაზრისით გარკვეული პარალელები გაივლოს ევროპულ ლიტერატურასთან; კონკრეტულ მხატვრულ ნაწარმოებთა მიხედვით გამოკვლეულ იქნას და გაანალიზდეს:

1. თხრობის სხვადასხვა ტიპი;
2. ფაბულა და სიუჟეტი, როგორც ნარატიული ინსტანციები;
3. პერსონაჟთა მოქმედების თანმიმდევრობის ლოგიკა;

4. პერსონაჟთა პერსპექტივებს შორის მსგავსება-განსხვავება;
5. ნარატიული ფიგურები;
6. მთხრობელთა და პერსონაჟთა თვალთახედვათა მრავალფეროვნება.

პროგრამის განხორციელების გზები

სათანადო თეორიული ლიტერატურის მოძიება და დამუშავება. კონკრეტულ მხატვრულ ტექსტებზე მუშაობა.

შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

კვლევის შედეგები მოსსენების სახით წაკითხულ იქნება ქართული ლიტერატურის განყოფილების სხდომებზე და გამოქვეყნდება ჟურნალებში.

მოსალოდნელი შედეგები

შეიქმნება გამოკვლევა, რომელშიც საგანგებოდ წარმონდება თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნარატივის თავისებურებანი და მისი ფუნქცია მხატვრულ სისტემაში. გამოკვლევის შედეგები, დებულებები, დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტების ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე ლიტერატურის ცალკეული სალექციო კურსის შემუშავებისას.

პროგრამის კორდინატორია პროექტი ინდივიდუალურია, ასრულებს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული ლიტერატურის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი მაია ჯალიაშვილი.

გრიგოლ რობაქიძის რუსულენოვანი პუბლიცისტიკა

(2009)

პრობლემის აღწერა: გრ. რობაქიძის ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა ნახევარ საუკუნეზე მეტხანს გრძელდებოდა. ცნობილ გარემოებათა გამო მას წერა სამ – ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე უხდებოდა. მწერლის გერმანულენოვანი ესეისტიკის შესწავლის შემდეგ ჩვენ წინაშე გამოიკვეთა მისი რუსულენოვანი ესეებისა და პუბლიცისტიკის გამოვლენისა და საფუძვლიანი ანალიზის აუცილებლობა. რობაქიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის ეს ნაწილი თითქმის შეუსწავლელია. წინასწარმა კვლევამ გვიჩვენა, რომ რუსულენოვანი პუბლიცისტიკა მწერლის შემოქმედების სოლიდური ნაწილია.

მიზანი და ამოცანები: ჩვენი კვლევის მიზანია შეძლებისდაგვარად სრულად გამოვავლინოთ გრ. რობაქიძის რუსულენოვანი ესეისტიკა და პუბლიცისტიკა, დავადგინოთ ძირითადი თემატიკა, გამოვყოთ უმთავრესი ტენდენციები, გავაანალიზოთ ტექსტები, გამოვავლინოთ მწერლის შემოქმედებითი აზროვნების უცნობი პლასტები, მოვნახოთ შეხების წერტილები შესაბამის ქართულ და გერმანულენოვან ტექსტებთან. გამოვიყენებთ კვლევის ჰერმენევტულ და, ნაწილობრივ, ინტეგრალურ მეთოდებს.

განხორციელების გზები: საკვლევი მასალის სრულად გამოვლენის მიზნით შესასწავლია რუსულენოვანი პრესა, ცალკეული გამოცემანი, საარქივო მასალები, ინტერნეტში განთავსებული სავარაუდო ტექსტები.

შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი: პროექტის შედეგები ასახული იქნება განყოფილებისა თუ საინსტიტუტო სამეცნიერო სხდომებზე წაკითხულ მოხსენებებში, ცალკეულ სამეცნიერო პუბლიკაციებში.

მოსალოდნელი შედეგები: პროექტის შესრულების შემთხვევაში შეივსება ის სერიოზული ხარვეზი, რომელიც რობაქიძის მცოდნეობაში მწერლის რუსულენოვანი შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით არსებობს. ამასთან, გამოიკვეთება მწერლის სააზროვნო არეალის სრულიად უცნობი შრეები.

პროგრამის კოორდინატორი: პროგრამა ინდივიდუალურია, ასრულებს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი მანანა კვატაია.

XX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურული კრიტიკის ჟანრულ-კომპოზიციური და სტილური თავისებურებანი

(2009)

პრობლემის აღწერა

კრიტიკის ფუნქციონალური აქტივობა დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, თუ რას ამბობს იგი, არამედ იმაზეც, თუ როგორ ამბობს. ამ პრინციპის გათვალისწინებით, XX საუკუნის მეორე ნახევრის კრიტიკული რეფლექსია ჟანრულ-კომპოზიციური და სტილური თვალსაზრისით საკმაოდ საყურადღებოა და სათანადო შესწავლას მოითხოვს.

ნაშრომში აქცენტირებული იქნება საბჭოთა პერიოდის კრიტიკის პუბლიცისტურობა და ის ჟანრები, რომლებიც კრიტიკის ამ სტატუსის ლეგიტიმაციას ახდენდნენ: ლიტერატურული მიმოხილვა, მონოგრაფიული რეცენზია, ლიტერატურული პორტრეტი, ფელეტონი, წერილი. კრიტიკის მეთოდოლოგიურ ტრანსფორმაციასთან ერთად, რომელიც დროში სოცრეალიზმის საფუძვლიან რევიზიას დაემთხვა, აღნიშნული ჟანრებიც საგრძნობ ცვლილებას განიცდის (კრიტიკოსის ანონიმური „ჩვენ“ მოწოდებისა და დიდაქტიზმის სხვადასხვა ფორმებით პიროვნულ-ინდივიდუალური „მე“-თი იცვლება). ხდება კრიტიკული რეფლექსიის ეტაპობრივი „ლიტერატურიზაცია“. კრიტიკოსთა სხვადასხვა თაობა, ძირითადად, XX საუკუნის დასაწყისში გამოყენებულ ჟანრებს უბრუნდება, განსაკუთრებით კი ესეის. ესეისტური აზროვნება ინტერპრეტაციის პროცესს წარმართავს; თუმცა, მხედველობიდან არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ იდეოლოგიური კრიტიკის ფსევდო-პუბლიცისტური პათოსი კვლავ ინარჩუნებს თავის ძალმოსილებას.

პროგრამის მიზანი და ამოცანები

პროექტი მიზნად ისახავს XX საუკუნის მეორე ნახევრის კრიტიკული რეფლექსიის მეცნიერულ კვლევას, ზოგადმეთოდოლოგიური და კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას საკვლევ საკითხთან მიმართებაში, თეორიულ და ლიტერატურათმცოდნეობით კვლევათა ერთგვარ სინთეზს, კრიტიკული აზროვნების და, საერთოდ, კრიტიკის როლის გამოკვეთას კულტურულ და ცნობიერებით პროცესებში, მისი ფუნქციის განსაზღვრას ღირებულებათა გადაფასების ეპოქაში.

პროგრამის განხორციელების გზები

გამოყენებული იქნება თანამედროვე დასავლური, რუსული და ქართული ლიტერატურის კრიტიკოსთა და ლიტერატურისმცოდნეთა ნაშრომები. მასალის ნაწილი მოძიებული იქნება 60-80-იანი წლების პერიოდიკაში, აგრეთვე ინტერნეტ-საიტებზე.

შეფასების და მონიტორინგის მექანიზმი

რეგულარულად (თვეში ერთხელ) ნაშრომის ყოველი ახალი მონაკვეთი წაკითხული იქნება ქართული ლიტერატურის განყოფილების სამეცნიერო სხდომებზე. მოცემული შენიშვნები გათვალისწინებული იქნება შემდგომი მუშაობის პროცესში.

მოსალოდნელი შედეგები

პროექტში წარმოდგენილი და სათანადოდ დამუშავებული წინამდებარე საკითხი შევა მოცულობით უფრო დიდ გამოკვლევაში, რომლის სათაურია: „XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კრიტიკა“

პროგრამის კოორდინატორი

პროექტი ინდივიდუალურია, მისი კოორდინატორია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ნონა კუპრეიშვილი.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის (ოცტომეული)

XIX-XX ტომებში ჩასამატებელი მასალის მომზადება

(2009)

პრობლემის აღწერა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ეროვნულ არქივში ინახება სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ამსახველი ისეთი მასალები, რომლებიც აკადემიური გამოცემისთვის მომზადებულ პროსპექტში არ შედიოდა. აკადემიური გამოცემის სისრულისათვის აუცილებელია ამ მასალის შეტანა XIX ტომში. ამისათვის დაგჭირდება ეროვნული არქივის რომელიმე თანამშრომლის დახმარება (საჭირო იქნება მასთან ხელშეკრულების გაფორმება).

XX ტომში გათვალისწინებული გვაქვს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში შემავალი მთლიანი მასალის ბიბლიოგრაფიის დაბეჭდვა ტომების მიხედვით, ამასთანავე ტომეულებში შემავალი მასალის ყველა სახის საძიებლის შეტანა შევსებული და სისტემაში მოყვანილი სახით. რამდენადაც ეს ტომი მოიცავს ყველა წინა ტომის მონაცემებს, საჭირო გახდება XIX ტომის მასალებით მისი შევსებაც.

მიზანი და ამოცანები

პროექტის მიზანია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის შევსება ახალი მასალებით და მისი გამოცემის დასრულება.

პროექტის ამოცანებია ტექსტების მოძიება, მასალის კომპიუტერში შეტანა, კორექტირება, პასპორტირება და კომენტარების შედგენა და საძიებლების გაკეთება.

განხორციელების გზები

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომლები შეადგენენ დამატებითი მასალების ბიბლიოგრაფიას. არქივის თანამშრომელი გადმოწერს მოძიებულ ტექსტებს, ინსტიტუტის თანამშრომლები კი უზრუნველყოფენ გამოსაცემად მათ მომზადებას.

შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი

მოძიებული მასალა მომზადებული უნდა იყოს აკადემიური გამოცემის პრინციპების მხედვით.

პროგრამაზე მუშაობის თითოეულ ეტაპზე წარმოვადგენთ ანგარიშს, რომელშიც აღნუსხული იქნება, რა გაკეთდა.

მოსალოდნელი შედეგები

დასრულდება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადება.

პროგრამის კოორდინატორი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ფილ. მეცნ. დოქტორი მაია ნინიძე. პროექტი ხორციელდება მეცნიერთა ჯგუფის მიერ. ესენია: ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები: მაია ნინიძე, ლამარა შავგულიძე, ნანა ფრუიძე და საქართველოს ეროვნული არქივის ერთი თანამშრომელი.

ფსიქო-ბიოგრაფიულ ტრაგედიათა რეპროდუქცია მიხეილ ჯავახიშვილის პროზაში

(2009)

პრობლემის აღწერა

ნაშრომში ნაჩვენებია იქნება, თუ როგორ იქცა მწერლის ბიოგრაფია და ფსიქიკა პერსონაჟთა სახეების წარმოქმნის საფუძველად, რა ტრაგიკული განცდები აძლევდა თხზვის სტიმულსა და ძალას, რა როლი მიეკუთვნა დიონისურ და აპოლონურ სტიქიას, როგორც ბოროტისა და კეთილის ბრძოლას.

პროგრამის მიზნები და ამოცანები

ნაშრომი მიზნად ისახავს შემოქმედის ბიოგრაფიის საფუძველზე იმის ჩვენებას, თუ როგორ გადადის ავტორისეული განცდები, წარმოდგენები პერსონაჟებად, სახეთა სისტემადა.

განხორციელების გზები

პროგრამის შესასრულებლად ვეყარებით სიღარიბის ფსიქოლოგიას, სხვადასხვა ავტორთა (ძირითადად, რუსი და გერმანელი) ნაშრომებს შემოქმედების ფსიქოლოგიაში.

მოსალოდნელი შედეგები

მიხეილ ჯავახიშვილის პროზის სტრუქტურიზების, ფსიქობიოგრაფიიდან გამომდინარე მხატვრული მოდელების წარმოდგენით, ჩვენს წინაშე გამოიკვეთება მწერლის მხატვრული აზროვნების არსი და სპეციფიკა.

შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები

აღნიშნულ თემას წარმოვადგენ ქართული ლიტერატურის განყოფილების სხდომაზე, დაიბეჭდება ცალკეული სტატიების სახით

პროგრამის კოორდინატორი

პროგრამა ინდივიდუალურია, მისი შემსრულებელია ქართული ლიტერატურის განყოფილების მთავარმეცნიერ თანამშრომელი სოსო სიგუა.

კომუნისტური აგიოგრაფია

(2009)

პრობლემის აღწერა

ქართულ სინამდვილეში ტერმინი „კომუნისტური აგიოგრაფია“ პირველად გამოიყენა კრიტიკოსმა აკაკი ბაქრაძემ „მწერლობის მოთვინიერებაში“: „ქრისტიანული და კომუნისტური აგიოგრაფიული მწერლობა ჰგავს ერთმანეთს. კომუნისტი წმინდანიც ისევეა უღრეკელი, უშიშარი, უცდომელი, რწმენისათვის თავდადებული და გაუტყეხელი, ერთგული, ყოველგვარი ტანჯვა-წამების გადამტანი, როგორც ქრისტიანი წმინდანი“.

როგორც ცნობილია, ქართული აგიოგრაფიული მწერლობა XVIII საუკუნის ჩათვლით იცავდა და ამკვიდრებდა თავის უმთავრეს პრინციპებს. ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ კარგად გამოიყენა აგიოგრაფიული კანონი, მოახდინა ცხოვრებათა უანრის აქტუალიზება და შეიქმნა მთელი ციკლი ღვინიადა-სტალინიადა-ბერიადა-ბრეჟნევიადასი, გააიდგალა მათი ღვაწლი და თავდადება რევოლუციური მონაპოვარის დაცვისა და განმტკიცების საქმეში, აგიოგრაფიული კანონის მიხედვით შეიქმნა პარტიისადმი თავდადებული არაერთი „გმირის“ სახე, უმღერეს კოლექტივიზაციას, ბელადებს და ა. შ. მარქსიზმ-ლენინიზმმა ჩამოაყალიბა საკუთარი რელიგია, რომლის მსახურმა მასებმა განადიდეს თავიანთი მხსნელები, როგორც ყველა გამარჯვების სიმბოლო, ხსნის იმედი, საქართველოს გადამრჩენელი და მისთან.

პროგრამის მიზანია სისტემაში იქნეს გააზრებული, დანახული და შეფასებული ე. წ. პარტიული ლიტერატურა, როგორც ახალი დროის უღვთო რელიგია და ამ იდეოლოგიის აგიოგრაფიული კანონით წარმოდგენის მცდელობა.

პროგრამის განხორციელების გზები

პროგრამის განხორციელება მოითხოვს გულდასმით მუშაობას პარტიულ ლიტერატურაზე, პერიოდულ პრესაზე, მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობასა და ახლებურ შეფასებას, საკითხის ახალი ასპექტების გამოკვეთასა და კვლევის შედეგების ჩამოყალიბებას.

მოსალოდნელი შედეგები

მთლიანობაში იქნება გააზრებული და წარმოდგენილი კომუნისტური აგიოგრაფიის ეტაპები და განსახოვნების თავისებურება, ჩვენს რეალობაში ეს იქნება პირველი ნაშრომი, რომელიც სათავეს დაუდებს ამ ტიპის კვლევებს ლიტერატურათმცოდნეობაში.

შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

2009 წლის ყოველ კვარტალში განყოფილების სხდომებზე სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარმოდგენა-განხილვა.

პროგრამის კოორდინატორი – პროგრამა ინდივიდუალურია, ასრულებს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი საბაფორუხ მეტრეველი.

პრობლემის აღწერა

ჟურნალიზმის გავლენა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაზე ყოველსმომცველია. მას ვერც ჩვენი თანადროული მწერლობა აღწევს თავს. წერალი-პუბლიცისტიც დროის ერთგვარი ნიშანია, ისევე, როგორც მხატვრულ ტექსტში პუბლიცისტური ელემენტების მოჭარბება. ჩვენთვის საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როგორ იყენებს თანამედროვე მწერალი პოლიტიკურ მედიატექსტს, როგორც ლიტერატურულ იარაღს, როგორ წარმოხდება უნივერსალური კატეგორია – ავტორის სახე პუბლიცისტურ ლიტერატურაში, ტექსტის ენობრივი ორგანიზების რა პარამეტრებით გამოირჩევა პუბლიცისტიკა მხატვრული ლიტერატურისგან, რა სტილურ ხერხებს იყენებს ავტორი ტექსტის ერთ მთლიან სიტყვიერ-მხატვრულ სისტემად გაერთიანებისათვის, სად მეტად სჭარბობს ემოციურ-ექსპრესიული სტრუქტურა – მის მხატვრულ ნააზრევში თუ პუბლიცისტურ გამოსვლაში. ამასთან, გამოვარკვიოთ, თანხედება თუ არა ავტორისეული “მე” ამ ორ სტილურ სახესხვაობაში. უნდა გამოიკვეთოს შინაგანი ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური და გარეგანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფაქტორების ურთიერთზემოქმედება და მათი ზეგავლენა ზოგადად ლიტერატურაში მიმდინარე იმანენტურ პროცესებზე; ლიტერატურაზე იდეოლოგიური ზეწოლის ფაქტები და ფორმები. აგრეთვე, თავის მხრივ, ლიტერატურის დამოკიდებულება იდეოლოგიური კონიუნქტურის, საზოგადოების მომწიფებელი პრობლემების მიმართ.

პროგრამის მიზანი

ჩვენი მიზანია ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის ჩვენებით, კონკრეტული პუბლიცისტური ტექსტების ანალიზით წარმოვაჩინოთ, რა სახის პუბლიცისტური ელემენტის სესხება-დიფუზიასთან გვაქვს საქმე, მეტადრე ჟურნალისტიკის ჟანრობრივი სახესხვაობის რომელი ფორმა იმკვიდრებს ადგილს თანამედროვე მწერლის შემოქმედებაში – ”მყარი” ფორმით გვხვდება იგი თუ ტრანსფორმაციას განიცდის, შემოქმედებითი წარმოდგენების დროს რა გავლენას ახდენს ნაწარმოების ერთიან სიუჟეტურ ქარგაზე ასოციაციურად გაჩენილი ეპიზოდები.

პროგრამის ამოცანები

პროექტის ამოცანაა განვსაზღვროთ, ტერმინის “ჟურნალიზმი” არსი. რა არის ეს – სტილური ხერხი, ავტორისეული ხელწერა, ტექსტისთვის ერთგვარი “სამოსელი” თუ ტროპული მეტყველების, მხატვრულ სახეთაგან გადარიბების, შაბლონურობის სინონიმი? აგრეთვე უნდა გამოიკვეთოს, ტენდენციის სახეს იძენს ეს მოვლენა თუ ერთეული მაგალითებით შემოიფარგლება; კონკრეტულად თანამედროვე ქართული მწერლობისთვისაა თუ ზოგადად ერთიანი ლიტერატურული პროცესისთვის ნიშანდობლივი.

პროექტის ამოცანათა რიგს მიეკუთვნება პოლიტიკური მედიატექსტის ისეთი გავრცელებული და ინოვაციური ფორმის თავისებურებათა კვლევა, როგორცაა მწერალ-“კოლომნისტის”, ანუ “მესვეტის” ინოვაციური და დასავლეთში მეტად აპრობირებული ჟურნალისტიკური ჟანრი.

პროგრამის განხორციელების გზები

პროექტის განხორციელება შესაძლებელია თანამედროვე სამწერლო პუბლიცისტიკის იმ ნიმუშთა მოხმობა-ანალიზის საფუძველზე, რომლებიც მეტი სრულყოფილებით ასახავს გლობალურ მოვლენებსა თუ ლოკალურად მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესს. კვლევის ემპირიულ ბაზად მოვიაზრებთ ამ მიმართებით დასავლური მეცნიერული აზრის უახლეს მიღწევებს. მათ შორის, პოლიტოლოგიურ, კულტუროლოგიურ, კომუნიკოლოგიურ და ახალთაობის სხვა ჰუმანიტარულ დისციპლინათა კვლევებს, ფილოსოფიურ ნააზრევს (მაგ., კარლ გუსტავ იუნგის, მაქს ვებერის, უმბერტო ეკოს, რ. დებრეს, პ. ბერკის, ენდრიუ ჰეიუდის, რობერტ კაგანის, ჰედლი ბულის, ბრუნო ბეტელჰეიმის, ფარიიდ ზაქარიასა და სხვა მკვლევართა ნაშრომებს), ზოგადად, პუბლიცისტიკის კრეატიულ გამოცდილებას. აგრეთვე, აღნიშნული კუთხით ქართული მეცნიერული აზრის მიღწევებს.

მოსალოდნელი შედეგები

პოლემისტურ-პოლიტიკური ჟურნალისტიკა, როგორც შემოქმედებითი თვითგამოხატვის ეფექტური ფორმა, ყველაზე მკაფიოდ თანამედროვე მწერლის პუბლიცისტიკით თვალსაჩინოვდება. გაბრიელ გარსია მარკესის, უმბერტო ეკოს და თანადროულობის სხვა უდიდეს მწერალთა შემოქმედებაზე დაკვირვებით, მათი დროის მაკრიტიკებელი პუბლიცისტური გამოსვლების გაანალიზებით საშუალება გვძლევს მთლიანობაში შევიმეცნოთ მწერლის შემოქმედება, როგორც ლიტერატურული იარაღი პოლიტიკურ ცვლილებათა იდეალების შეცნობა-გაგებისათვის და სულის ემანსიპაციისათვის. აქედან გამომდინარე, გამოვაგლინოთ ლიტერატურაზე იდეოლოგიური ზეწოლის ფაქტები და ფორმები, ასევე, განვსაზღვროთ, თავის მხრივ, ლიტერატურის დამოკიდებულება იდეოლოგიური კონიუნქტურის, სოციალური პრობლემების მიმართ.

შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

მონიტორინგი ხორციელდება სამ თვეში ერთხელ, საინსტიტუტო სემინარზე, სადაც წაკითხული იქნება მოხსენება კვლევითი სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ. კვლევა-ძიების დასრულების შემდეგ განსახილველად წარმოვადგენთ პროგრამის საბოლოო ვარიანტს.

პროგრამის კოორდინატორი

პროგრამა ხორციელდება ინდივიდუალურად. პროგრამის კოორდინატორია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მანანა შამილიშვილი.

მეოცე საუკუნის ქართული პოეზია და დრამატურგია

(2009)

პრობლემის აღწერა

უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია გულისხმობს, რომ ყველა ის შემოქმედი, რომელთა სახელები გამორჩეულად საინტერესო და მნიშვნელოვანია ჩვენი კულტურისათვის, საგანგებო კვლევის საგანი გახდეს; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი ლიტერატურული ფაქტი – პოეტისა და მწერლის შემოქმედება, როგორც სისტემური მთლიანობა და ცალკეული ნაწარმოები, როგორც ამ სისტემის ორგანული ნაწილი, განხილული თანამედროვეობის პოზიციიდან. პრობლემად მივიჩნევთ, რომ ზოგიერთი ამგვარი მწერლისა თუ პოეტის შემოქმედება სრულყოფილად არ არის განხილული ან სრულიად არ არის შეტანილი უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოში.

პროგრამის მიზანი და ამოცანა თანამედროვე ქართული პოეზიიდან საგანგებო კვლევისათვის გამოყოფთ ანა კალანდაძის შემოქმედება და მწერლობიდან – თამაზ ჭილაძის დრამატურგია.

პროგრამის განხორციელების გზები

პროგრამის განხორციელებისათვის სამუშაო ორ თითოწლიან ეტაპად უნდა დაიყოს:

1. ანა კალანდაძის შემოქმედება;
2. თამაზ ჭილაძის პიესები.

საკვლევი სამუშაო ჩატარდება არსებულ შემოქმედებით და სამეცნიერო მასალაზე დაყრდნობით, ავტორთა აზრის გათვალისწინებით და მკვლევარის საკუთარი მოსაზრებებისა და დასკვნების საფუძველზე.

მოსალოდნელი შედეგები

კვლევის შედეგები უდავოდ დიდ დახმარებას გაუწევს უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიით დაინტერესებულ სტუდენტებს.

შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

შედეგების შეფასებისათვის, სამ თვეში ერთხელ, ლიტერატურის განყოფილებაში წარმოვადგენთ მოძიებულ მასალას და ჩატარებულ სამუშაოს.

პროგრამის კოორდინატორია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ქეთევან შენგელია. პროგრამა სრულდება ინდივიდუალურად.

XX საუკუნის 20-იანი წლების ლიტერატურული პროცესები და ქართული პოეზია (2009)

პრობლემის აღწერა:

ნაშრომი წარმოდგენილი იქნება ორ თავად. I თავში განიხილება 20-იანი წლების სალიტერატურო პერიოდიკა, რომელიც ლიტერატურული პროცესების ცოცხალ სურათს ქმნის; თავისი ხასიათითა და მიმართულებებით ის არაერთგვაროვანია და ამდენად, მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ცისფერყანწელთა კორპორაციის ჟურნალ-გაზეთები, აკადემიური ასოციაციის, ფუტურისტული ჯგუფის, პროლეტარულ მწერალთა კავშირის პერიოდული გამოცემები, გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, აღმანახი „არიფიონი“ და ჟურნალი „მნათობი“. ნაშრომში დამოწმებული იქნება ყველა საყურადღებო მასალა ამ და სხვა (საჭიროებისამებრ) პერიოდული გამოცემებიდან (კრიტიკული წერილები, იდეოლოგიური ზეწოლის ამსახველი ტექსტები, პარტიული კრებების დადგენილებები და მიმართვები მწერლობისადმი... პოეზიის ცალკეული ნიმუშები, რომლებიც იქ იბეჭდებოდა). II თავი დეთმობა 20-იანი წლების პოეზიის ძირითად ტენდენციებს, ბრძოლის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, რომელიც ამ ათლეულის მიწურულს კრახით დასრულდა იდეოლოგიის ზეწოლით.

პროგრამის მიზნები და ამოცანები

20-იანი წლების ქართული პოეზიის წარმოჩენა სალიტერატურო ცხოვრების ფონზე; ეს ნაშრომი განკუთვნილი იქნება შესავსებად ადრე გამოცემული მონოგრაფიისა „XX საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიიდან“. პოეზიის ისტორიის სრული კურსი დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, პედაგოგებს და სხვა დაინტერესებულ მკითხველს.

განხორციელების გზები

მასალები დამუშავდება ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ქართული ლიტერატურის მუზეუმში არსებული ჟურნალ-გაზეთების, საარქივო მასალებისა და გამოცემების საშუალებით.

შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები

ნაშრომის ცალკეული ნაწილები წაკითხულ იქნება განყოფილების სხდომაზე და მიღებული შენიშვნები თუ რჩევები – გათვალისწინებული.

მოსალოდნელი შედეგები

ეპოქის რეცეფციები და ქართული პოეზიის ტენდენციები 20-იან წლებში, რომელიც დამთავრდა სოცრეალიზმის იძულებითი აღიარებით.

პროგრამის კოორდინატორი – პროგრამი ინდივიდუალურია, ასრულებს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ზოია ცხადაია

**პროექტ „ღია ჩარჩოების“ მასალის გამოყენებით ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლებისათვის ქართულ ლიტერატურაში online-გაკვეთილების მომზადება**

(2009)

პრობლემის აღწერა

საშუალო სკოლის ასაკის მოსწავლეები დიდ დროს ატარებენ კომპიუტერთან. იმისათვის, რომ ისინი არ მოწყდნენ ლიტერატურას, საჭიროა მათი დაინტერესება თუნდაც იმ ფორმით, რომელსაც თავად ანიჭებენ უპირატესობას. გარდა ამისა, ელექტრონული გაკვეთილები ეფექტურს ხდის სწავლების პროცესს და გვაძლევს უკეთეს შედეგს, ვიდრე ტრადიციული ფორმები და ტექნოლოგიები. თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა სწორედ ამ ფორმით სწავლებაზეა მიმართული. საქართველოში ამ კუთხით წარმატებით მუშაობს პროექტი „ირმის ნახტომი“, თუმცა სასურველი იქნება სწავლების პროცესში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დიდი პოტენციალის ჩართვაც.

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის – „მეცნიერება მომავლისათვის“ ბაზაზე მზადდება და სერიულად გამოიცემა საშუალო სკოლის სხვადასხვა კლასებისათვის განკუთვნილი ინტერაქტიული გაკვეთილები ქართულ ლიტერატურაში. რამდენადაც მასალის ძირითადი ნაწილი თავისი სპეციფიკით ინდივიდუალურ მუშაობაზეა ორიენტირებული, გადავწყვიტეთ მათ საფუძველზე online-გაკვეთილების მომზადებაც.

მიზანი და ამოცანები

პროექტის მიზანია სასკოლო ასაკის ახალგაზრდების დაინტერესება ქართული ლიტერატურით, მათი ინფორმირება და ინდივიდუალური მუშაობის უნარების გამომუშავება.

პროექტის ამოცანებია „ღია ჩარჩოების“ გაკვეთილებზე online-ბლოგების მომზადება და მათი გამდიდრება აუდიო-ვიზუალური მასალით. ელექტრონული გაკვეთილები განთავსდება შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ვებგვერდზე.

განხორციელების გზები

პროექტის განხორციელებისათვის გამოყენებული იქნება შემდეგი საშუალებები:

1. ელექტრონული ინტერაქტიული გაკვეთილების მომზადება „ღია ჩარჩოების“ მიხედვით. მისი გამდიდრება აუდიო-ვიზუალური მასალებით და გაკვეთილების განთავსება ვებგვერდზე.

2. 2009 წლის იანვარში წინამდებარე პროექტი კონსულტირებისა და რეცენზირებისათვის წარედგინება ელექტრონული სწავლების საერთაშორისო ორგანიზაცია „ინვენტს“, რომელთანაც შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს აქვს თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება.

შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი

online-გაკვეთილები უნდა იყოს იოლად გასაგები და გამოსაყენებელი, აგრეთვე ინფორმაციული და კომპაქტური, რისი ინდიკატორიც გახდება თავად მომხმარებელთა დაინტერესება და ჩართულობა online-სწავლების პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ გვექნება ელექტრონული მიმოწერა მოსწავლეებთან, საჯარო სკოლების პედაგოგებთან და გავიგებთ მათს დამოკიდებულებას პროგრამისადმი, მივიღებთ სასურველ რჩევებს.

მოსალოდნელი შედეგები

კომპიუტერთან დახარჯული დრო, რომელსაც ახალგაზრდები online-გაკვეთილებს მოახმარენ, იქნება ნაყოფიერი მათი განათლებისათვის. პროექტში გათვალისწინებული გაკვეთილები განუვითარებს მათ ლიტერატურის რეცეპციისათვის საჭირო უნარებს, აგრეთვე მისცემს სათანადო ცოდნას ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და ელექტრონული სწავლების საერთაშორისო ორგანიზაცია „ინვენტის“ თანამშრომლობა საფუძვლად დაედება პროექტის შემდგომ განვითარებას როგორც სამიზნე ჯგუფების, ასევე სწავლების ტექნოლოგიების გამრავალფეროვნების თვალსაზრისით.

პროგრამის კოორდინატორი

პროგრამის კოორდინატორია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი ქეთევან ნინიძე. პროექტი ხორციელდება ინდივიდუალურად.